


JK 832 E
1994

საქართველოს
სოციალ-დემოკრატიული
პარტია



დი დ ე ბ ა
ქართველ ერს

დიდებმა თავისუფლებას!

ჩვენი დროშა

NOTRE DRAPEAU

საგანგებო სამ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთით ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-Démocrate de Géorgie

დააარსებელი: ნოე ჯორჯანია

FONDATEUR: NOE JORDANIA



19 **18** წელი

19 **21** წელი

მაისი
თებურვალი

პარიზი 1994 წელი.

26

აპრილი



1918


წელი

საქართველოს დამოუკიდებლობის დიადი თარიღია



ვაგლახ ვაგვიხმეს ყლორტი ჯერ კიდევ ნორჩი
ვერც კი ეღირსა ნაყოფის მოხმას,
მაგრამ ჯანსაღად გადგებული ფესვი
დარჩა უკვდავად მომავალ მოდემას'.

(აგუ)



1868 - 1953

ნოე ჯორჯიაძე.

NOÉ JORDANIA

Fondateur et Premier Président de la République Géorgienne (1918-1921)



42510

ერის დღესასწაული
26 მაისი

26 მაისი, ქართველი ერის და ხალხის აღდგომის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის დღეა.

ქართველი ხალხი პირდაპირ, უშუალოდ გათვითცნობიერებული და გამთლიანებული, პირველად გამოვიდა საქვეყნო ასპარეზზე 26 მაისს და მისცა დასაბამი მისასალ ისტორიას; თქვა ახალი სიტყვა; გამოკვეთა თავისი სავალი გზა. მან აქ პირველად მიაძახა მომავალს: „მე ვარ ჩემი თავის ბატონი. უნდა ვიყო თავისუფალი!

ჩვენს ირგვლივ იცვლება ყველაფერი, იქსოვება ახალი ნოვლებნათა ქსელი, ხდება გადაჯგუფება—გადმოჯგუფება, მთელი რიგი ისტორიული გადასხვაფერებისა.

არ იცვლება მხოლოდ ერთი მოვლენა: არ იცვლება ოცდაექვსი მაისი; ის რჩება იქ, სადაც დაიბადა, უცვლელათ, შეუდრეკელათ, ამაყათ.

და ეს იმიტომ, რომ მისი ძირი, მისი ფესვები ღრმად არის გადგმული ქართველი ერის სულსა და გულში, მან სამუდამოთ დაიპყრო მთელი ხალხი, მან აშკარათ დაანახება მას სასიცოცხლო გზები.

26 მაისის ქართველობა დაეპატრონა თავის თავს, როგორც ერთი მთლიანი ერი, გამოკვეთა ერთი ხალხი ქირში და ლხინში განუყრელი. მან სთქვა თავისი საკუთარი სიტყვა ცხოვრების ყველა დარგში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და ნაციონალურ ურთიერთობაში და მან ეს აღბეჭდა ჯერ საქმით და შემდეგ სიტყვით — კონსტიტუციაში.

მოსკოვმა მოგვტაცა ეს სილიადე, გასტეხა ჩვენი წყობილება, მოსპო ჩვენი თავისუფლება. ვერ მოგვტაცა მხოლოდ ჩვენი სული, ვერ გასტეხა ერის მორალი, მისი მთლიანობა, მისი გადაწყვეტილება — იყოს თავისუფალი.

26 მაისი ბუღობს თვითეულ ქართველში; ის აღარ ფრიალებს გამოჩენილათ საქართველოში. ის ფრიალებს გამოუჩენელათ ყველა ქართველში. აი ეს მორალური ძალა, ეს სულიერი სიმტკიცე და ურყევი იდეალი არის აქლ-

ბელი სიმაგრე. რასაც შეასკდება მტერთა იერიშები. ის უტყუარი თავდებია მისი საბოლოო გამარჯვების. ამ ისტორიულ სტიქიას ევრაეითარი ძალმომრეობა ვერ მოსპობს, ვერ შეაჩერებს; იგი გადალახავს ყველა დაბრკოლებებს და ამა თუ იმ გზით აღსდგება, — 26 მაისი კვლავ აშკარათ გამოანათებს და ერის მსვლელობას უმეთაურებს.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობა ცვალებადია; ხახ ერთი ზარი ჩამორეკს, ხან მეორე. ამ ისტორიულ ზვირთთა სრბოლაში, ამ არეულ-დარეულ ხანაში ქართველი ერის პატარა ნაეი გასტურავს სამშვიდობოზე მხოლოდ ერთი საშუალებით — მისი მთლიანობის შენახვით, მისი თავის თავის ერთგულებით, მისი 26 მაისით.

ნ. ჟორდანია.

Le 26 Mai

Le 26 Mai est le jour où la nation et le peuple géorgien ont retrouvé leur liberté et leur indépendance.

C'est le jour où la Géorgie, unie et consciente, s'est manifestée pour la première fois sur la scène mondiale et a donné naissance à sa nouvelle histoire.

C'est le 26 Mai qu'elle a prononcé des paroles nouvelles, tracé le chemin à suivre et pour la première fois, s'est adressée à l'avenir :

Je suis mon premier maître

Je dois être libre.

Autour de nous tout change, une nouvelle trame se tisse, faite de changements historiques.

Seul le 26 Mai demeure. Il reste là où il est né, immuable et fier, car ses racines sont profondément ancrées dans l'âme et le coeur de la nation géorgienne.

Le 26 Mai a rendu aux Géorgiens leur souveraineté et leur a clairement montré le chemin de la vie.

Le 26 Mai a conquis à jamais le peuple tout entier et le sentiment de leur unité indéfectible dans le malheur et le bonheur.

Les Géorgiens ont pu enfin s'exprimer librement dans tous les domaines : politique, économique, social et national. Ils l'ont affirmé dans la Constitution, par la parole et l'action.

Moscou nous a ravi nos droits et notre liberté. Elle n'a pu nous voler notre âme, ni briser la force morale, l'unité et la détermination du peuple à redevenir libre !

26 Mai demeure dans le coeur de chaque Géorgien. Il ne flotte plus ouvertement dans notre patrie, mais secrètement dans l'âme de tous les Géorgiens.

C'est cette force morale, cette conviction profonde, cet idéal inébranlable qui sont nos remparts. Ils nous garantissent la victoire finale, quelle que soit la puissance de l'ennemi !

Rien ne pourra anéantir, rien ne pourra stopper ce bouleversement historique. Il surmontera tous les obstacles et triomphera tôt ou tard.

Le 26 Mai éclairera de nouveau et conduira les destinées du peuple géorgien.

Aujourd' hui, la situation mondiale est changeante. Par ces temps houleux et incertains, le frêle esquif de la nation géorgienne arrivera à bon port à une seule condition :

LA CONSERVATION DE SON UNITÉ ET DE SON 26 MAI

Noé JORDANIA.


25 Mai 1952

Traduit par Asmath Pagava-Jordania



დიდება თავისუფლებას !

დიდება ქართველ ერს !



«26 მაისი არის ჩაქედილი თვითეული ქართველის სულსა და გულში, მთელ ქართველ ერში და უცდის შესაფერ დროს მის აღსადგენათ».

«26 მაისი არის გამოხატულება ერის ერთობის, მტერის წინააღმდეგ აღმართული ერთად-ერთი სიმაგრის. დიდი ნაციონალური საქმე არ გაკეთდება შინაგანი ბრძოლის გაჩაღებით»

«მოსკოვმა მოსპო ჩვენი თავისუფლება, ვერ მოგვტაცა მხოლოდ სული, ვერ გასტეხა ერის მორალი, მისი მთლიანობა, მისი გადაწყვეტილება—იყვეს თავისუფალი. აი ეს მორალური ძალა, სულიერი სიმტკიცე და ურყევი იდეალი არის აუღებელი სიმაგრე, რასაც შეასკდება მტერთა იერიშები».

«26 მაისი კვლავ აშკარათ გამოანათებს და ერის მსვლელობას უმეთაურებს».

ნ. ქვრიანია.

(«ჩენი დროშა» № № 2, 9).

დამოუკიდებლობის გამოცხადება.

.... 22 მაისს ნ. ჟორდანი ბათუმიდან თბილისში დაბრუნდა. ბათუმში ის გაწვეული იყო სეიმის დელეგაციის მიერ საზოგადოებრივების გართულების გამო. ბათუმიდან დაბრუნდა იმ რწმენით, რომ შექმნილი მდგომარეობა დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებას აღარ ითმენდა. საკითხის გადასაჭრელად მოწვეულ იქნა სოც.-დემ. პარტიის ცენტრკომიტეტის სასწრაფო სხდომა, რომელსაც მან გაუყეთა ვრცელი მოხსენება მდგომარეობის შესახებ, საიდანაც ერთადერთ გამოსავალს ხედავდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებაში. კრებამ ერთხმად გაიზიარა ეს აზრი და მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც მეორე დღესვე დაეგზავნა ყველა ს.-დ. ორგანიზაციებს, რაც მიღებულ იქნა ურეზერვოთ. ამავე დროს მოწვეული იყო «ერ. საბჭოს» აღმას. კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იგივე ნ. ჟორდანი იყო. მისი მოხსენება აქაც ერთხმად მიიღეს და დამოუკიდებლობის აქტის შესამუშავებლად არჩეულ იქნა საგანგებო კომისია.

26 მაისს დილით სასახლეში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომა. სეიმის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ—პირველი სიტყვა სეიმის სოც.-დემ. ფრაქციის სახელით წარმოსთქვა ირ. წერეთელმა, რომელმაც თავის ვრცელი სიტყვა დაათვა ასე: «შექმნილი მდგომარეობა გვევალებს ქართველ ხალხს უთხრათ, რომ ის მარტო დარჩა და თუ უნდა გადაირჩინოს თავი—დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადოს თავის დამოუკიდებლობა და შექმნას თავის სახელმწიფოებრივი ორგანო... წერეთლის წინადადების შესახებ ილაპარაკა ყველა ერის და ყველა პარტიის წარმომადგენელმა, რაც დასრულდა სეიმის დაშლით 3 საათზე.

იმავე დღეს, იმავე სასახლის ზალაში, დღის 4 საათზე და 50 წუთზე, გაიხსნა «საქართველოს ეროვნული საბჭოს» სხდომა.


კრებას ხსნის აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჟორდანი, რომელსაც მთელი სხდომა ფეხზე ადგომით ესალმება და ხანგრძლივ ოვაციებს უმარტავს. თავმჯდომარის ისტორიული სიტყვის შემდეგ წაკითხულ იქნა «დამოუკიდებლობის აქტი», რომელიც მიღებული იყო ფეხზე ადგომით. «აქტი» მიღებულ იქნა უცვლელად, რაზედაც ხელს აწერენ საბ. წევრები.

ამავე სხდომაზე წაკითხული იყო სია მთავრობის წევრების, შემუშავებული საბჭოს აღმას. კომიტეტის მიერ შეთანხმებით ყველა პარტიებთან.

5 საათზე და 55 წ. «ეროვნული საბჭოს» სხდომა დაიხურა. სხდომის დახურვისათვისავე «დამოუკიდებლობის აქტი» წაკითხული იქნა სასახლის აივანიდან უამრავი ხალხის წინაშე.

ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ქონდა.

დაიწყო ზეიმი, რაც გაგრძელდა მთელ ღამეს...



«26 მაისი არის დღე ახალ-ახალი ბრძოლისა, სიმბოლოა დესპოტიის დათრგუნვისა, უცხო მონობის ბორკილების დამსხვრევისა და დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის დროშის საბოლოო გამარჯვებისა».

ნ. წამისციცი.

(«ბრძოლა» № 33—33).

დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა.

დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა იყო მოწყობილი პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა კოალიციის ნიადაგზე.

მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი—ნ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა—ა. ჩხენკელი, სამხედრო—გ. გიორგაძე, მიწათმოქმედების და შრომის—ნ. ხომერიკი, მინისტრის ამხანაგები: შინაგან საქმეთა—კ. გვარჯალაძე, საგარეო საქმეთა—ნიკ. ქარცივაძე, მიწათმოქმედების და შრომის—პ. გელეიშვილი და ი. ფირცხალაიშვილი, ფინანსთა—კ. კანდელაკი (სოციალდემოკრატები).

იუსტიციის—შ. მესხიშვილი, განათლების—გ. ლასხიშვილი; მინისტრის ამხანაგები: იუსტიციის—გ. გველესიანი და განათლების ალ. მდივანი (სოც.-დემოკრატები).

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის—გ. ჟურული (ნაციონალ-დემოკრატები).


გზათა მინისტრი—ივ. ლორთქიფანიძე, მინისტრის ამხანაგი—საბაშვილი (სოც.-რევოლიუციონერები).

სამხედრო მინისტრის ამხანაგი—გენ. გ. კვინიტაძე (შემდეგ მთავარ-სარდალი) და ვაჭრობა-მრეწველობის—გ. ნიკოლაძე (უპარტიონი).

ამნიარად, მთავრობის წევრთა რიცხვი სულ უდრის 18; აქედან სოც.-დემოკრატები იყვენ—9, სოც.-დემოკრატები—4, ნაც.-დემოკრატები—1, სოც.-რევოლუციონერები—2, უპარტიო—2.

ცოტა ხნის შემდეგ (24 ივნისს) ნ. რამიშვილი შესცვალა მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე ნოე-ჟორდანიამ. ამას მოყვა მთავრობაში ზოგიერთი ცვლილებები. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჩაბარდა ევ. გეგეჭკორს, ხოლო აკ. ჩხენკელი დაინიშნა უცხოეთში ჩვენს წარმომადგენლათ (ჯერ გერმანიაში, შემდეგ შვეიცარიაში).

დამფუძნებელ კრების მოწვევის შემდეგ (მარტი 1919 წ.) შეიქმნა ერთფეროვანი მთავრობა, კოალიციის მაგიერ და პირველ მთავრობაში მყოფ სოც.-დემ. მთავრობის წევრებს დამატა ახალი წევრები სოციალდემოკრატები.



«მტერს ეგონა, რომ ქართველს გასტეხდა, ძალას დაუმორჩილებდა, ეროვნულ თავმოყვარეობაზე ხელს ააღებინებდა, დაამონებდა, მოატყუილებდა, მაგრამ ამაოდ.—ვერც დემაგოგიამ და თვალმაქცობამ, ვერც მუქარამ, ვერც «ჩეკა»-ს სარდაფებმა, ვერც წამებამ ვერ გასკრა, პირიქით ხალხის მისწრაფება თავისუფლებისადმი, იმედი განთავისუფლების აუცილებლობის—გაძლიერდა და რაც უმთავრესია მტერი ამას გრძნობს,—აი რას დღესასწაულობს ქართველი ხალხი ამა წლის 26 მაისს».

ა. ხსეიძე.

(«ბრძოლა» № 12, 1926).

ჩვენი მნათობი ვარსკვლავი, მედროზე ჩვენი ერის და დღე ბრწყინვალე დაუფიწყარი...

26 მაისი, რომლის გახსენება და მასზე ფიქრი სულს ატკობს, გულს ახარებს. სიამოვნების გრძნობათა ღელვა იდუმალათ გონებას ოცნების-მორყეში რომ აფორიაქებს.


რა არის ამ 26 მაისში ასე ღრმით და მძლავრათ ჩაქსოვილი-ჩადუღებული, რომ არც დრო და ხანს, არცა ბუნებას და არც ადამიანს რომ არ ძალუძს წაართვას მას ის დაუშრეტელი ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც ანდამატივით იზიდავის ყველა ქართველ პატრიოტს—დიდს და პატარას, მოხუცს და ყრმას, ქალს და კაცს, თავისუფლების წყურვილით აღვისილი მას რომ შესტრფიან, მისკენ ილტვიან, მასში ეძებენ ტანჯული სულის და ხორცის მოსვენებას.

ყველა ვრი თავის თავს უნდა «გეყუდნოდეს»-ა; ყველა ვწი «სმა ღვათისა და სმა ვწიხა» უნდა თანამრედადეს.

აი ჩვენი უდიდესი და უწმინდესი ქართული ხალხური ბრძნული პოლიტიკური მცნებანი, რომელიც 26 მაისმა ერთმანეთს გადაბა, შეადულა და განუყრელათ შესისქლხორცებული ქართველი ხალხის ცხოვრების ასაწყობათ და მის ისტორიულ გზის გასაგრძელებლათ საქვეყნოთ ამართულ დროშას ზედ დააწერა. ეს დროშა ქართულია, ქართველი ხალხის წიაღიდან წარმოშობილი, მის ნაციონალურ ნიდაგზე აღმოცენებული. ამავე დროს იგი არს საქვეყნო, საკაცობრიო; ყველა ერთათვის თანამედროვე და მათი სულიერ გრძობათა და აზრთა ამსახველი. ამაშია 26 მაისის სიძლიერე, მისი სიმამრე, მისი გამძლეობა, მისი მარადობა. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიამ დღევანდელ კაცობრიობას დაუყენა საკითხი, რომელიც ვერცერთმა განვლილმა ეპოქამ ვერ მოაგვარა და ვერ გადასტრა. საკითხი ერთა ურთიერთობის და ხალხთა მშვიდობიანი და კეთილი ცხოვრების წესთა არჩევის და განმტკიცების. მრავალ საუკუნოების მანძილზე რომ იყო და არის დავის, ბრძოლის და ომების საგნათ.

26 მაისი ამ დიდ ეპოქაში დაიბადა. მრავალი იმპერიები რომ დაინგრნენ და გარდაიქმნენ; ხალხის სრულ უფლებათა აღიარებამ რომ მოშალა მრავალ ერებში ბატონობა უმცირესობის. მეოცე საუკუნე ერთა და ხალხთა სუვერენობის საბოლოო გამარჯვების და დამყარების ხანაა. ეს ისტორიული აუცილებლობის სავალი გზა არის, რის შებრუნებას და შეჩერებას ლამობს კრემლის ოლიგარხია. ამ ახალ ქერქში განხვეულ რეაქციას იგივე ბედი მოელის, რაც მრავალთ—ბატონობის და სხვათა ჩაგვრის მძიებელთ დაემართათ. გაუტყნავი იმედით უცდის ამ დღეს ქართველი ერი, რომ გადაიგდოს დამპყრობელთა უღელი და 26 მაისის გამარჯვებული დროშით თავისი ადგილი დაიჭიროს თავისუფალ ერთა შორის.

წ. კრამიქ.



«ჩვენთვის 26 მაისი ქართველი ერის ასი წლის ბრძოლის
ლოლიკური დასკვნა და ამ ბრძოლის ბრწყინვალე დავეირ-
გვინება».

მს. ხიმშიაშვილი.

(«ჩენი დროშა» № 6).

თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ნ ი

(26 მახობის კაცია)

მათი რიცხვი ათასეულებია, რომელთა ბრძოლას წინ მიუძღოდა რწმენის დროშა სამშობლოს სიყვარულით გაშლილი. მათი სანუკვარი იყო თავისუფლება ქართული ოჯახის, თავისუფლება საკუთარ სამშობლოსი...

იყო დღენი შავი სუდარით მოსილი, არასოდეს სასოწარკვეთილება მათი, არამედ მიმქრალ იმედის კვლავ გავლივება და გამკლავებულ ენერგიით ბრძოლის აზვირთება.

დროთა მანძილზე გაისმოდა სიტყვა მკრელი, იბრძოდა კალამი მკვეთრი. ხმალი უტეხი. სიმატლის ხმას გამოჰყავდა რაზმები მივარდნილ კუთხიდან,—აყენებდა ქვეყნის სამსახურში.

იდუური მისწრაფება იყო მათი მუდმივი თანამგზავრი— ხშირად რომანტიულ გატაცებით შექმული. ხალხს კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო მათი მოწოდება, შეუწყვეტელი, უანგარო შრომა მათი პირადი სიამოვნება... მათი გული ფეთქდა საერთო საქმისთვის, მათი გონება შებოქილი იყო ბედკრულთა და ტანჯულთა დახსნისთვის. დასახულ მიზანთა მისაღწევად საკუთარ ბედნიერებაზე ფიქრით—მივიწყებულნი, ისინი განიცდიდნენ,—ხალისიან ალტაცებას ბრძოლის ცეცხლში გართულნი, ტანჯვა-წვალებაშიც უკრულდნენ სულიერ კმაყოფილებას სიმატლის მოსაპოვებლად მოწოდებულნი.

რჩეულთა ხვედრია ისტორიის მწვერვალზე ასვლა. ხოლო გზა აღმავალი ხშირად იწალდება უამრავ, უჩინართა და უანგაროთა ბრძოლითა და მსხვერპლით... რადგან ხალხის დინამიურ ძალაშია ერის გამძლეობის გაქედა და მისი სიმტკიცის შენარჩუნება.

ქამთა დენიდან—ხალხის გულთა სიღრმეში,—წვეთებთ ეპკურებოდა და დაუსრუტელ წყაროთ გადაიქცა სიყვარული საკუთარ მიწა-წყლის, სურვილი მისი თავისუფალ არსებობის...

ამ დაგუბებულ ჩანჩქერთა დენა მოედო 26 მაისს საქართველოს კუთხიდან-კუთხეს და გაბრწყინებულ მზის სხივებზე გამოჩნდა ერის სხეულის ყველა სალი ნაწილები, დიდებით

შემოსა ნანატრი თავისუფლება, დადგა მის დაცვის სადარაჯოზე... ციური თალი არ გახსნილა და არც შემთხვევით არ მობრძანებულა თავისუფლება ქვეყნის, არამედ იგი იყო თავდადებულ შრომის, თავგანწირულ ბრძოლების აუცილებელი შედეგი,—სხვანაირი ახსნა იქნებოდა ნაფიქრი უგუნურთა, უმეცრება ვონებისა, რადგან ქართველ ერში,—დღიდან მისგან ეროვნებათ შეცნობისა,—მუდამ ღვივოდა სწრაფვა დამოუკიდებელ ცხოვრების შესაქმნელად. ამ მცნებას ეზიარა ფართე მასსები დიდ ოსტატთა გამჭურიახ გონებითა და მოქნილ ნაშრომით...

სამი წლის მანძილზე სკედლა დამოუკიდებელ ცხოვრებას მშრომელი ერი გაქივრებაში,—ხოლო ეს გაქივრება მას არ აფრთხობდა, უცხო უღლისგან განთავისუფლებული იგი მიიღწეოდა აღმშენებლობისკენ... თავდადებულთა გუნდები კი ეწირებოდა შურითა და მტრობით აღვსილ ყოველ-მხრიდან შემოტეულ მტერს...

თუ სამშობლო კვლავ გაეხვია გლოვის ძაძვებში, თავდადებულთა რიცხვი გამრავლდა. დაკარგულ თავისუფლების სხივებით აღინთო მებრძოლთა დაკადილი გული. 26 მაისის ტყვეობიდან დახსნა გახდა მათი არსებობის შინაარსი.

შიგნით და გარეთ თავდადებულნი ეცემიან თავისუფლებისთვის მებრძოლნი. მათ ადგილს იჭერს სხვები...

მსხვერპლთა რიცხვი მრავლდება, შინ და გარეთ ითხრება მამულიშვილთა საფლავეები, 26 მაისის 40 წლის თავზე მოწიწებით ვიგონებთ მათ ხსოვნას. რომელთაც თავი დასდევს ერის საკურთხეველზე.

დრო მოვა ტყვეობიდან განთავისუფლებული 26 მაისის თბილი სხივები კვლავ გაანათებს საქართველოს კუთხეებს, თავდადებულთა საფლავეებს ჩასძახებს მადლიერი ერი.—*ადისკვა საქართველო გაისარწინეთ!*

მანამდის კი—ერის სინდისი ღებულობს მათ ანდერძს—ბრძოლის გასაგრძელებლათ და მოუწოდებს თავის ახალ-ახალ შვილებს, იყვნენ ქვეყნის თავისუფლებისთვის თავდადებულნი და ერთგულნი ვითარცა მათი მამები. რომელთა დატოვებული დროშა მათ უნდა მიიტანონ გამარჯვების ნაკირზე!

პ. ხარჯკელაძე.



დანგრ, ჩაინგრა რუსთა მეფის ერთა გაუგალი ნესტიანი ციხე სიმაგრე, და საქართველო აღსდგა ერთ მთლიან განუყოფელ ნეიტრალურ სუვენერულ სახელმწიფოთ, რომელმაც ფორმათ მართველობისა აირჩია დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამ ხანის დაუფიწყარი თარიღია დიადი 26 მაისი 1918 წელი, რომელიც გახდა ქართველი ერის განახლების და აღორძინების უკვდავ ეპოქალურ თარიღათ.

26 მაისი საქართველოს ნება სურვილის მარად არსებობის გამოშატველი სიბრძნეა, მისი სიცოცხლისა და თავისუფლების აყვავებული უმანკო წაღკოტია, რომელშიდაც ჩაქსოვილია ქართველი ერის სული, გული და მაღალ გრძნობათა იდეალი.

1921 წელს თებერვლის ერთ ცივ უკუნეთ გაუგალ ღამეშიდ ომის გამოუცხადებლათ თავს დაგვესხა სრულიად უმიზეზოდ საბჭოთა რუსეთი, დაარღვია მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ჩვენ რესპუბლიკასთან, გვძლია უთანასწორო ცხარე ბრძოლებში, დაგვიპყრო, მოგვტაცა თავისუფლება და დაგვადო რუსული ხიშტით სისხლიანი სიჩუმის სარქველი.

გამართლდა ჩვენ დიდ წინაპართა წინასარმეტყველება დაეცა საბჭოთა ძლიერი ველური წითელი იმპერია საქართველო კვლავ აღსდგა დიად 26 მაისის ნიადაგზედ, რომელსაც ესაჭიროება მოვლა და პატრონობა, რისთვისაც საჭიროა განახლებულ რეალურ პოლიტიკის

აღება ერთობლივად, დამყარებული თანამედროვე
დღევანდელ საკაცობრიო ვითარებაზე.

გვწამს და გვჯერა, რომ ჭეშმარიტ აზრით, შეურყეველ
იმედით, ერთი წადილით და მრწამსით გატაცებულნი
შერკინებულნი საქართველოს პრეზიდენტთან თქვენ შეს-
ძლებთ ჩვენი ქვეყნის ტარებას გამარჯვების ბრწყინვალე
გზებზედ, და საქართველოს მრავალ საუკუნოებრივ კუ-
ლტურის მიტანას საკაცობრიო ცივილიზაციის საღაროში
ჩვენ პატარა საქრისტიანო სამშობლოს გასაცნობათ, და
გასამტკიცებლათ.

ლევან ფაღავა.

ზაზ

21574


თებერვალი

1921 წელი

დამოუკიდებელ
საქართველოს
ჯვარცმის სისხლიანი
მარადიული
შავი თარიღია.

რედაქცია

თებერვალი !



თავისუფალ სუვერენულ
საქართველოს ჯვარცმა, ს. რუსეთის მიერ,
თებერვლის
1921 წელს.

საბჭო

თბილისი - თებერვალი 1921 წელი. მთავრობის წევრები გამოსვლიდან დაბრუნდნის შემდეგ კრების არა ჩვეულებრივ სხდოლომიდან სადაც ერთხმად დაემოხილ იქნა საბჭოთა რუსეთის მუხანათური თავდასხმა, საქართველოს ნორჩ რესპუბლიკაზე და დავალება მისცა მთავრობას საჩქაროდ მიეღო სამხედრო თავდაცვითი ყველა ზომები.

ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ბ. მდივანი გამოცხადებულ იქნენ საქართველოს მოლაღატებათ. სასახლის წინ ხალხი თანაგრძნობით ეგებება მთავრობის წევრებს და იზიარებს დამ. კრების დადგენილებას.



მთავრობის წევრები:

1. ეგგენი გეგეჭკორი, საქ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრო
2. ნოე ჟორდანიძე, საქ. რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე.
3. ნოე ზომერიკი საქ. რესპუბლიკის აგრიკულტურის მინისტრო.
4. ნოე რამიშვილი, საქ. რესპუბლიკის თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრო.
5. კოსტანტუნე კანდელაკი, საქ. რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრო.

— 22 —

ბრძოლა



<p>ყოველთვიური ორგანი საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსი</p>	<p>"LA LUTTE" - Revue mensuelle du Parti Social - Démocrate Ouvrier de Géorgie</p>
--	--

პარიზი, თ-ლი. 1926 წელი - Paris, Février 1926.

სხუთი წელი

სხუთი წელი ტანჯვის და მონობის, ტყუობის და ბოროტების
რანი ვიყავით გუშინ? ყველაფერი
რა ვართ დღეს? არაფერი

ერი პატივყარილი, ხალხი დაქცეული. მოქალაქე შეკრულ-შებოვილი.
საქართველოს შესაფლავენი დღეს დღესასწაულობენ თავის გაბატონებას, საქარ-
თველო კი ძაქებით გლოვობს თავის დამარცხებას და მათდამი დამორჩილებას. ისინი
იცინიან და სტკებებიან, ჩვენები ოხრავენ და იტანჯებიან.

დღეს ორგვარი მოგონებაა: ერთია ჯოჯოხეთის და მისი მოციქულების, მეორეა
თავისუფლების და მისი მოტრფიანების.

სხუთი წლის წინ ქართველმა ერმა დაქარგა უდიდესი განძი—თავისუფლება და
შიილი უმძიმესი უღელი მოსკოველების. ერის უღირსი შვილები თავს დაეცენ მშო-
ბელ დედას უცხო ძალებით, ამოართვეს სული და გაბაწრული ცოცხალ-მკედარი მიუ-
ტანეს მსხვერპლათ თავის მომაკლინებელთ. ეს საშინელი სელთამშუთავი, რომლის
თავია მოსკოვში, ხოლო ბრჯყალები კი ჩვენში, სწუნის დაუსჯელათ ჩვენს სიძლი-
რეს, ჩვენს ავლა-დიდებას, ჩვენს სულთიერს და ნიეთიერ საუნჯეს. წაიღეს რის წაღბაც
კი შეეძლოს, გააპარტახეს რაც დახვდათ. მოსაეს მთელი ახალი კულტურა, შრომით
და ბრძოლით შექმნილი, და გადაგვისროლეს უკან, დაცემის და გვეურანებისავენ. ისინი
დღეს ცკეობენ ერის სასაფლაოზე.

რა სურდათ, რას ფიქრობდენ? სურდათ ჩვენი ჩაბრუნება რუსეთის სამფლობე-
ლოში, ფიქრობდენ ჩვენს გადაქცევას ძველი იმპერიალიზმის გზა დახიდათ. საქართვე-
ლო დასკირდა მოსკოვს შეფეთა აღმოსავლეთის პოლიტიკის გასაგრძელებლათ, ოს-
მალეთში, სპარსეთში, შორეულ სამხრეთში სამოქმედო ბაზის შესაქმნლათ. მათ კარ-
გათ იცოდენ, რასაც შერებოდენ, რისთვის აგზავნიდენ თავის ჯარებს ჩვენს წინააღმდეგ.
ეს იყო დიდი სახელმწიფოს შეთქმულობა პატარას ჩასაყლაპავათ. ქართველები, ამ
ბოროტების მებაირალტრენი? ამათ ქვეყანა გაყიდეს და შიილეს საშსახური თანამდე-
ბობაზე გადასცვალეს ეროს სხეე-ბედი. განშეორდა სიტყვა-სიტყვით ძველი ამბავი,
რუსის ჯარი შემოდის საქართველოში მეორეჯერ ქართველების წინამძღოლობით.
ფაქტი ერთნაირია. მისი აზრი კი სხვადასხვაა. პირველი მოპატიეება მოხდა უცხო
მტრის მოსაგვრებლათ. ქაეკავაძენი ემსახურებოდენ ქართველი ხალხის ფიზიკუ-
რათ გადარჩენას. რას ემსახურებიან მახარაძენი? რომელი მტრის წინააღმდეგ ამხედრ-
დენ ისინი? ეს მტერია ქართველი ხალხი, მის დასამორჩილებლათ და მასზე გასაბა-
ტრუნებლათ მათ მოიხმეს ნამდვილი მტრები. ჩვენს წინაპართ აქეთ გასამართლებე-
ლი საბუთები. ამათ, ამ ჩვენს თანამედროვეთ, არავითარი გამართლება, არავითარი
საბუთი არ ადგებათ. ესენი რუსეთის იმპერიალიზმის უერმოქრილი მონებია.

ერი თავისუფალი, აღორძინებული. ახალი იმედებით და იდეალებით აღფრთოვანებული დაატყვევეს და რუსეთის დესპოტიას დაუმორჩილეს. რას წარმოადგენს ეს ბატონი, ქვეყანამ იცის. ის გამოფიტულია, არ შერჩა არავითარი ნივთიერი და გონებრივი ღირებულება, გარიყული. განცალკევებული, კაცობრიობიდან გამდგარი— ამ არარაობაზე ვართ შიკრული და შის საჯკენათ გადაქცეული. საქართველო ყოფილა

დამცირებული, შარა არასოდეს არ ყოფილა ასე დაბლა დაშვებული. ის ფდეს უფსკრულშია, ამაზე ქვემოთ წასულა აღარ შეიძლება. მხოლოდ სულის სიმტკიცე და იმედი ბატონებს შას ამ საშინელ ტრაგედიას. ზვირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტირსა— ეს ძველი სიბრძნე დღევანდელი ჩვენი მნათობია. თავს დაგვატეხეს პირი, ჩვენ უპასუხებთ სიმაგრით. აგასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისსა. ქართული ხალხის გრდემლს შეასკდა უთვალავი შტერი. ასეთი ბოლო მოელის ახლანდელ შის შტერსაც; ოღონდ კი გრდემლი მუდამ სცემდეს და ერს ალვიძებდეს. აწმყა არა გეწყალობს, შარა მოშავალი ჩვენია.

ჩვენი გზა შიდის აღმართ-აღმართ, აღორძინე რა თქვისუფლებსიასკენ. აქეთ შოდის შთელი კაცობრიობა. შათი გზა კი უშუება რაქოა, დაღმართ, ჭაობის და ჯერღმელისსაკენ. შათ არავინ შისდებს, იმ გზით არავის შიდი, შას ყველა, შთელი კაცობრიობა, შიზლით უყურებს. ახლა ბრშაც კი ხედავს, რომ მოსკოვის შიშართულება გადაშენების ხიფია, აქეთ გასავალი არ არის: ამას ქვანიც კი ლაღადებენ. ამ ლაღდმა გიარღვია თვით კრემლის კედელიც და შეიტანა ხმა სინანულის. შათი დღენი დათვლილია, ხალხის აშალება შათი დაცემა; ქვეყნის აღდგომა შტარვალთა დამარხვია. ასე ყოფილა მუდამ და ასე იქნება. გლახათ დამწყები გლახათ ათავენს. ეს უცუელი განაჩენია.

ეს ხუთი წელი წელი ცრემლთა გებების და სისხლთა შორევის, არის წელი ქართული ხალხის სულიერი განკერნების. ის ამ ციხეში ინათლება შტკიცე ნებისყოფით. იბანება თავისუფლების წყაროთი და იტყდება სასიცოცხლო ძალებით.

განელთ ეს ხუთი წელი, დრო შეტათ ძნელი. ჩვენი დროშა დაბლა არ დაშვებულა. დგება დრო აჩალებათ ძნელი, შევდივართ გარდატების წლებში, ჩვენი დროშა შალა აიწევა.

მაშ იმედი, კიდევ იმედი, შეტი იმედი

— . . —

დასიყუძნებელი გრების წიგრ გიორგი კვახავას წერი-
ლიდან:

«ჯერ ომი სწარმოებს, საშინელი ომი, მაგრამ საქართვე-
ლოს გულიდან, თბილისის კლდეებიდან, უკვე აღმოხდა «ვა-
შა» და გამარჯვების გრიალი ეფინება ქვეყნიერებას. რუსე-
თის დამშეულთა ურდოები, რომელნიც ემუქრებიან ზთულს
განათლებულ კაცობრიობას, წარღვნით და წაღვევით, უკვე
ესეთქა ირაკლი მეფის სტრატეგიულს ხაზებს, ესლა გაქვით-
კირებულს ჩვენი მამულიშვილების შკერდით, ესეთქა, დაიმ-
ტვრია შუბლი და დამარცხებული იხევს უკან.

ვაშა საქართველო!

შობდა დიდებული და გამირული საქმე. კწყდება ბედი
არა მარტო საქართველოსა, არამედ მთელი კავკასიის და
მთელი წინა აზიისა. ამ წამს, განცვიფრებულ ქვეყნიერება
დაპყურებს საქართველოს რუქას: როგორ? ამ პატარა ერმა
მოახდინა ეს სასწაული?!

ამწამს ლოიდ ჯორჯი, მილიიერანი, ვილსონი თუ პარ-
დინგ, ესათუოდ ხელახლად გადასინჯავენ თავიანთ პოლი-

ტიკის გეგმას, იძულებულნი არიან შეუფარდონ იგი ახალ
ფაქტორს, მსოფლიო ისტორიისას—საქართველოს. ლენინი,
ცნობილი ლენინი, შუბლშეხრილი და დაღვრემილი იყურება
სამხრეთისაკენ: ნუ თუ აქ საქართველოს საზღვრებზე, უნდა
დამარცხდეს და განიადეს, მისი ველური ოცნება? ნუ თუ აქ
არის შეურყეველ და მტკიცე ზღუდე განათლებისა და თავი-
სუფლებისა?! კფიქრობს იგი.

დიაღ, აქ არის! ქართველ ერს არ ეტყობა დაღლილობა,
თვითული ჩვენგანი გრძობს საიდუმლ ო ეროვნულ სულს...
ცაში დადის ლანდები ჩვენი წინაპრებისა..... სადღავეცს უც-
ლის ქრუანტელი სიკოცხლისა.

ვაშა საქართველო!

— ამ სტრიქონების დამწერი, შეუდრეკელის ნებისყო-
ფით განაგრძობდა საქართველოს დამარცხების შემდეგ და-
კარგული თავისუფლების მოპოებისათვის ევროპაში მოქმე-
დებასა და ბრძოლას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე,—საფლა-
ვის კარებამდე.

რევოლუციური დაიწყო თავდასხმა.

საქართველოზე თავდასხმის რამდენიმე თვით ადრე რუსეთის წითელმა ჯარებმა გაგზავნეს ლორში მრავალი თავისი აგენტები დიდძალი თანხით, რომელთაც დაველებული კქონდათ აჯანყების მოწყობა. ამ საქმის ხელმძღვანელად დაინიშნა ლორში ვინმე ლახიანი, მოსკოვიდან მოსული კომისარი, რომელიც 1919-1920 წელს რედაქტორობდა მე-11 არმიის პოლიტრტდელის გაზეთს „ქრასნი ვოინსა“ (საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის დაინიშნა საბჭოთა სომხეთის სამხედრო კომისრად). ლახიანთან ერთად ლორში შეიპარენ ბაქოდან გამოგზავნილი წითელი ჯარის ორი კომისარი ოსეპიანი და სტეპანიანი. ამ ხელმძღვანელებთან ერთად კარაკლისიდან მოსული გადაცემული რუსი წითელი არმიელებიც მრავლად შევიდნენ ლორში და კოლონიტების სოფლებში დაბანაკდნენ. იმ ხანებში ოსმალეთის შემოსევის გამო საქართველოს საზღვრებს მოაწვა მრავალი რუსი და სომეხი ლტოლვილი ყარსის და გუმბრის რაიონებიდან. ეს გარემოება კიდევ უფრო უადვილებდა საიდუმლო აგენტებს დამალვის საშუალებას და წითელი ჯარის გეგმის განხრამად გაცხარებით ამზადებენ იმ აჯანყებას რომელიც შემდეგ ქართველი ხალხის სურვილად გამოაცხადეს.

საქართველოს დაპყრობის პირველსავე კვირებში ბოლშევიკები დაუფარავად სწერდნენ და ლაპარაკობდნენ ამაზე, თუცა იმავე დროს ევროპას სულ სხვა ინფორმაციას აწვდიდნენ. აი როგორ მოკვითხრობდა ლორის აჯანყების შესახებ საქართველოს დამპყრობ მე-11 არმიის პოლიტრტდელის ორგანო „ქრასნი ვოინი“. 1921 წ. 16 აპრილის ნომერში (801). იქ მოთავსებული იყო ვინმე ევ. ბორისოვის წერილი სათაურით: „აქვანი სოციალური რევოლუციისა საქართველოში“. საცა სწერდა: „ასე უწოდებენ ლორს ზოგიერთი კომუნისტი ამხანაგები საქართველოში მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა ლორი ნეიტრალურ ზონას წარმოადგენდა. აქ იყო დიდი ქსელი კომუნისტური იაჩიკებისა. რომელნიც ხან ამჟამად და ხან ფარულად განაგრძობდნენ მუშაობას. საქართველოს ჯარების მოსვლამ საბოლოოდ ჩაიდნა იაჩიკები არალეგალურ სფეროებში. ჩვედით რა იატაკ ქვეშ, დავნაწილდით მკიერ ნაწილებათ მუშაობის გასაფარებლად და კომუნისტური პარტია შეუდგა თავისი გავლენის გაძლიერებას, მას თბილისის კომუნისტური კომიტეტი ხელმძღვანელობდა.“

მაგრამ ამას საზღვარი დაუდო თბილისის ორგანიზაციის და-
რბევამ მენშევიკების მიერ მაშინ ლორის ველის კომუნის-
ტური მხედველობა მიპყრობილი იქნა კარაკლისში მდგომ
რუსეთის წითელი ჯარისაკენ. ბნელ ღამეებში, ღრმა თოვლ-
ში, ქარბუქისაგან დაფარული ბილიკებით ბეზობდალის
უღელტეხილზე მიემგზავრებიან შიკრიკები კარაკლისში ლო-
რის იაჩიკებიდან კავშირისა და ინფორმაციისათვის. გადა-
ცმულნი. გრიმებით მოწყობილნი, ეს შეუმჩნეველი გმირები
აქეთებდენ თავის საქმეს. უხსნიდენ რა ფართო მასებს საბჭო-
თა ძალაუფლების იდეას და ამზადებდენ აჯანყებისათვის,
პარტიული დისციპლინის დაუმორჩილებლობისათვის იაჩი-
კები სასტიკად სჯიდნენ დამნაშავეთ.

ღამით 11-12 თებერვალს აჯანყება დაიწყო. შეიტყო თუ
არა მენშევიკების მთავრობამ, მოემზადა აჯანყების ჩასაქ-
რობად. ასე რომ ზოგიერთ სოფლებიდან იძულებული შევი-
ქნით უკან დაგვეხია. ღრმა თოვლში, ძლიერ ყინვაში. ღრუ-
მიხდილნი ვიხვედით აჯანყებულნი მთებში. მაგრამ ძლიერი
იყო ჩვენი რწმენა და მოახლოვდა თუ არა რუსეთის წითელი
ჯარები, დაიწყო ძლიერი შეტევა საქართველოს წინააღმდეგ.
გავიდა რამდენიმე დღე და გამარჯვებულმა წითელმა ჯარე-
ბმა ლორში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. სიჩქარედ
შედგა რევკომი თითქმის ყველა სოფლებში (რუსენის და სო-
მხების), არსებობს კომიაჩიკები...»

ბ რ ძ ე ლ ა.

პირველი ცნობა საქართველოზე ჩინურულურ მტკბისა.

12 თებერვალი, 1921 წელი. «ღამით 11 დან 12 თებერვალს
რეგულიარული ჯარის ნაწილები სომხეთის მხრით მოსულ-
დნელად დაესხენ თავს ბეზობდალით ჩვენს მოწინავე სადარა-
ჯოებს საღვურ შაგალისთან და სოფელ შანიხთან ბრძალს
მაზრაში. ამავე დროს ბორჩალოს მაზრაში მოსახლეთვე მოსა-
ხლეობის ნაწილმა, შემდგარმა სომხებისა და რუსებისაგან,
მოახდინა აჯანყება და შეუერთდა თავდამსხმელთ. მერე ნი-
წილი კი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის დროზე შეგვარყო-
ბინა განზრახული თავდასხმის შესახებ. ბეზობდალი მართ
თავდამსხმელნი გავფანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯან-
ყება დაძლეულია. შაგალის, უზუნლიარის და შინიხის რაი-
ონებში ბრძოლა სწარმოებეს.»

14 თებერვლის სამხედრო ცნობა. «13 თებერვალს ჩვენი
ჯარები აწარმოებდენ ბრძოლას ვორონცოვკის და სადახ-
ლოს სამხრეთით. ხელში ჩაგვივარდა ტყვეები, რომლებიც
მოწმობენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომხურ-რუ-
სული საბჭოთა ჯარები.»

15 თებერვლის ცნობა. «14 თებერვალს სადახლოს რაიონ-
ში სწარმოებდა სროლა და მხვერავთა მოქმედება. მტერის ამ
რაიონში აქტიობა არ გამოუჩენია.»

ლორის ველზე მტერი შეეცადა გადასულიყო შემოტევაზე, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მტრის ცდა გააქარწყლა. ღამით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ამ რაიონში უფრო ხელსაყრელი პოზიციები სიმაღლეზე, რომლებიც ვარარ. ცოვკის ჩრდილოეთით მდებარეობენ.

არტილერიის ნაწილი, რომლის შესახებ 12 თებერვლიდან ცნობები არ გექონია და რომელიც შინიხის რაიონში დაღუპულად ითვლებოდა, გზა გაიკაფა მის გარშემოტყმულ მტრის რაკეტაში და მთის ბილიკებით გამოვიდა თავისიანებთან შესაერთებლად.

19 თებერვლის ცნობა. «ღამით 18-დან 18 თებერვალს მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე ობიექტების კარებზე. გაფთრებული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. მტერი უკუგდებულ იქნა მძიმედ დაზიანებული და უწყსრივად შირბის. ჩვენ უკან მივდევთ. ჯერჯერობით ხელთ ვიგდეთ 1000 ტყვე».

20 თებერვლის ცნობა. «კოჯორის რაიონში ჩვენ ხელთ ვიკაფთ ზახბაზნები, ტყვიის-მფრქვევები. მტრის დევნა გრძელდება».

გაგრის რაიონში მდინარე მუხადირზე სწარმოებს ბრძოლა».

21 თებერვლის ცნობა. 20 და 21 თებერვალს ღამით მტერმა ახლად შემატებული ჯარებით გაძლიერებულმა, ორჯერ შეუტია ჩვენს ნაწილებს კოჯორის რაიონში. ორივეჯერ მან მიადწია ჩვენს სანგრებამდე. პირველი იერიში მოგერიებულ იქნა ხელით სასროლ გრანატებით. მეორე კი ხიშით შეტაკებით დამთავრდა. ჩვენი ჯარები, მიუხედავად უკიდურესი დაღლილობისა ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლის გამო, ორჯერ გადავიდნენ კონტრ იერიშზე და მამაკური თავდასხმით უკუაგდეს მტერი. ყველა შემდეგი ცდა მტრისა შემოეცია ჩვენი ნაწილებისათვის უკუგდებული იქნა ცეცხლით. დილის 8 საათზე 21 თებერვალს მტერმა დაიწყო უკან დახევა...

20 თებერვალს დაიწყო მტრის შემოსევა ადღერის მხრით. საკრანტეთის ესკადრა ჩვენი ტერიტორიის თავდაცვის საქმეში დახმარებას გვიწევს ჩვენ არტილერიის ცეცხლით, ის უშენს ბოლშევიკებს ფლანგის მხრით».

22 თებერვლის ცნობა. თბილისის მიდამოებში ჩვენი ჯარები მისდევენ კოჯორთან დამარცხებულ მტერს. გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მხვერავ რაზმებმა დაიკავეს სოფელი კუმისი და წალასკური: კუმისთან მოულოდნელი თავდასხმით ღამე ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის 8 ტყვიის მფრქვეველი, 3 რადიო და 53 წითელარმიელი. წალასკურთან — კუმბარის და ვახანების ყუთები...

ქახეთში დაიწყო ადგილობრივ გლეხობის ძლიერი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკური კავალერიის წინააღმდეგ».

უკუგდებული იქნა მტრის ცდა ჩვენს შოწინავე პოზიციებს
მოახლოებოდა დარიალში.

21 თებერვლის ცნობა. «22 თებერვალს თბილისის მიდა-
შობებში სიმშვიდე იყო, მხოლოდ საღამოს დაიწყო მტრის
მცირე ნაწილების შემოტევა ყარაიხის მხრით საგარეჯოზე.
ქახეთში გლეხების პარტიზანული ბრძოლა ძლიერდება.
დარიალის ხეობაში მტრის შემოტევა უკუგდებულ იქნა.
გაგრის მიმართულებით მტერმა მრავალრიცხოვანი ძა-
ლებით შემოუტია ჩვენს შოწინავე სადარაჯოებს: ბრძოლები
გაგრასთან გრძელდება...»

«ლომედივით იბრძვიან იუნკრები, საერთო ხმაა და, მარ-
თლატ, ყველა ნაწილებიდან იუნკრები ყველაზე მედგრად და
განუწყვეტლივ ამაგრებენ ფრონტსა. ზურგიდან გამაგრებულ
არტილერიით, ისინი ჩასაფრებიან წუნკალა მტერსა და მთე-
ლი დღე და ღამე, როგორც ზღვის ტალღებს, უკან აქცევენ
ბოლშევიკების იერიშებს. განდევნილი კოჯრიდან და ქო-
როლიდან, უკანასკნელნი ასკდებიან ტაბახმელის მაღლო-
ბებს, მაგრამ ამაოდ. ხარბახნები, ტყვიისმფრქვეველები, და-
ჭრილ-დანოცილნი და სურსათი გაბნეულა მთელს მტრისაგან
დატოვებულ. ბრძოლის ველზედ და სისტემატიურად ახევი-
ნებენ უკან მაღლობიდან მაღლობზედ და უმზადებენ საერთო
ტომარას..... ყველგან ერთი და იგივე ხმაა: «ჩას გზით მივ-
ცემთ თბილისს. ბოლშევიზში საქართველოდან იწეგს მისი
საფლავის თხრასაო.»

-- . . --

როგორ შემოვიდგნ თბილისში.

(ბოლშევიკური წყაროებიდან)

აი როგორ აგვიწერს თბილისის აღებას მე-11 არმიის ორგანო «ქრასნი ვოინი» 1821 წლის 25 მარტის ნომერში.

... «ჯავშნიანი მატარებელი, ხოლო შემდეგ ტანკების რაზმი, წავიდენ წყნარად. მაგრამ მრისხანებით და დიდებულად, როგორც გოლიათები, რომელნიც სინჯავენ მიწას, რათა თავის სიმძიმით არ გასრისონ ის. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო. სადგურები: სალოლი, ბეიუკ-კაისიკი და ყარაი-აზი უდაბნო-სებური და დაღვრემილია. მაგრამ ნალმებით მოწყობილია მტრის მიერ, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად.

ჩვენ აქ გავცურეთ როგორც ბნელმა ჩრდილებმა. ქართველებს მოუხდენიათ ყველაფრის ევაკუაცია იმ უიმედობით და გარძობით, რომ უძღურნი არიან გაუძლონ და წინ აღუდგენ რუსეთის ძღვევამოსილ და მრისხანე ძალას.

ირგვლივ არც ერთი რკინის გზელი, არცერთი ცოცხალი არსება. თუნდ თავსუფალი საშხედრო საშსახურიდან. გარდა შემთხვევითი ჩვენი წითელ არმიელებისა და უთვალავ ცხვრების ფარისა, რომელიც დაუტოვებიათ გაქცეულ ქართველ თავადებს.

ყარაიაზში გაფუჭებულია წყლის ამოსაღები. აკეთებენ მთელ დღეს და მხოლოდ ღამით გამოჩნდა წყალი. ნერვიული მდგომარეობაა. ჯავშნიან მატარებლებმა თავი მოიყარეს სადგურთან.

მიღებულია ბრძანება: გადით დილით. თავი მოიყარეთ სადგურ ალტაგლასთან და მოემზადეთ თბილისზე იერიშისათვის, ჯავშნიანი მატარებელი №,.. მიდის წინ შეთაურად; მთელ რიგ უძილო ღამეებიდან ყველას თავი სტიკია, მაგრამ ფიქრი და აზრი ერთი გვაქვს: «წინ თბილისისკენა».

მთელი ღამე დაღმართები, მისახვევები და რემონტი და მწვარი ხიდებისა. დილის 7-საათზე ჯავშნოსნები თავს იყრიან სადგურთან. ტანკები—ეს თანამედროვე საკვირველებანია, ქვეითი ჯარის მრისხანე მტერნი, დაღვრემილნი განთიადის

ნასლში მიფორთხავენ თავის პლატფორმებიდან ქვევით.

თენდება, სამადრო წყობა მზად არის. გაუსროლულად, მშვიდად მიფორთხავენ ფოლადის საშინელებანი—ტანკები, სამარისებური სიწყნარა... მტერი ჩუმად არის. ნერვები და-ქიმულია, და უეცრად პირველი შემავფოთებელი ხმაურობა, აგრუნუნდენ, ოხვრიო: ამუშავდენ ზარბაზნები. მტერი შეშ. ფოთდა, მაგრამ მალე მოვიდა გონს და გრივალისებური ცე-ცხლი დაანთო. ელვის ენებმა დასერა ცა. ქართველები მძიმე გაუბიკების გამანადგურებელ ცეცხლით ხვდებიან ღირსე-ულ მტერს. შედრკენ მრისხანე საკვირველებანი—ტანკები, როცა იგრძნეს ტკივილები მძიმე ჭრილობებისგან, მაგრამ ადამიანის ნებისყოფამ გადააქარბა და ისინი ისევე მიფორ-თხავენ და მიფორთხავენ.

ქართველები მთელ თავის ცეცხლს უშენენ ჯავშნიან მა-ტარებლებს, ხოლო ტანკები, ეს აგაიძვერა, ეშმაკი, ფოლა-დის კეუბი, როგორც მრისხანე ღრუბლები მიდიან წინ ჯავ-შნოსანთ მფარელობის ქვეშ, მუცლით მიხობავენ რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ და მალალი აურა ქვეით წითელ არმიელთა ხედება სიხარულით მათ გამოჩენას.

მტრის ბატარეები გატაცებულია ჯავშნოსნებით და შე-დარებით ნაკლებ ყურადღებას აქევენ ტანკებს, სანამ უკვე გვიან არ არის. როგორც იყო შეფორთხდენ ტანკები დანი-შნულ ადგილას და დაიწყეს ლაპარაკი სიკვდილის მოციქუ-ლებმა.

... მტერი წინ არის,—და ისევე აგრუნუნდენ ზარბაზნები, ისევე დაიწყეს მუშაობა სიკვდილის მოციქულებმა—ტანკებ-მა. ამასობაში ჯავშნოსნები გაბედულად მიდიან წინ. მტრის ყუმბარებს გადაუჭრიათ ლიანდაგი, მას ვაკეთებთ და მხო-ლოდ ორთქლმავალთა კვამლი, რომელნიც მოსჩანან შორი-დან, გვიჩვენებს, რომ ტექნიკა ამარცხებს ცოცხლ ძალას, ის იმარჯვებს.

დადგა ლამე, ყველაფერი მიმკვდარია, მაგრამ არ მიძინე-ბულა. ვაკეთებთ ლიანდაგს, ხიდებს და გათენებისას ისევე თბილისისაკენ. მუხანათმა მტერმა ააფეთქა მთელი რიგი ხი-დებისა. გააფართოვა და აყარა ლიანდაგი, მაგრამ ენერგიამ და წინდანედულებამ გაიმარჯვა მათზე და ხელახლა ამუშავ-დენ ფოლადის საკვირველებანი, სიკვდილის მოციქულნი—ტანკები.

აი ნავთლულიც, ხოლო მის შემდეგ თბილისია. მტრის წინააღმდეგობა გატეხილია. მან უკან დაიხია და ჩვენ გამარ-ჯვებულნი. ჯავშნოსნებით, ინტერნაციონალისა სილერით, პირველი შევედით თბილისში. ტანკები შევიდნენ ქალაქში მეორე მხრიდან... თბილისის სადგურზე მე-11 არმიის უფრო-სმა, გეკერმა. მიულოცა ჯავშნოსნებს გამარჯვება და მად-ლობა უთხრა თავდადებულ მუშაობისთვის...

როგორ აცნობეს ევროპას.

სწორეთ იმ დღეებში, როცა ზევით ორი მოპირდაპირე წყაროს მიხედვით აწერილი ბრძოლები სწარმოებდა საქართველოს ტერიტორიაზე ბოლშევიკურ რუსეთის და დემოკრატიული საქართველოს სამხედრო ძალებ შორის, მოსკოვი რადიო-დებეჟით ამცნობდა მთელ ქვეყანას—ქართველი მუშები და გლეხები აუჯანყდნენ საქართველოს მთავრობას და თბილისზე ილაშქრებნო. ხოლო რუსული ტანკებით, ჯავშნოსნებით და სხვა და სხვა ჯარის ნაწილებით თბილისის აღება მოსკოვის სააგენტომ შემდეგი ლაკონიური დებეჟით ამცნო ქვეყნიერებას: «ქრანსიმი პოესტანცაში ვზიატ ტიფლისი—წითელმა აჯანყებულებმა თბილისი აიღეს!»

ქართველი ხალხის მოღალატეები.

დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

I.

იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შეილნი. დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოღალატეებად. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას.»

II.

მოიხსენიან რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა, რომ შულავერში შედგა ჯგუფი, რომელიც თავისთავს საქართველოს მთავრობას უწოდებს, რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის საბჭოთა რუსეთის ჯარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

დამფუძნებელი კრება ადგენს:

ფილიპე მახარაძე, შამია ორახელაშვილი, ბუდე მდივანი, შალვა ელიაძე, მიხეილ ოკუჯავე, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვიციქელია გამოცხადებული იქნენ ქართველი ხალხის მოღალატეებად, ჩამოერთვას მათ ყოველივე ქონება და დაყენებული იქნან კანონს გარეშე. *)

*) იხ. უკრანალი ბრძოლა № 19-20, 2927 წ.

თავდება და ახლოვდება მეოცე საუკუნის დასასრული, რას გვასწავლის, რას გვეუბნება რას განვიცდით და ან რას გვიქადის ჩვენი საუკუნე მის მიწურულ წლებში ?

პირველ ყოვლისა, ის ამჟღავნებს ადამიანთა გულცივი შეუბრალებელ მუხანათურ ბოროტებას, მან ორი შემზარავი სისხლიანი ომი გადაიხადა, რომელსაც შეეწირენ მილიონობით სრულიად უდანაშაულო ქალნი, ბავშვნი, და უმწეო მოხუცნი.

დღესაც შუაგულ ევროთ წოდებულ ცივილიზებულ ევროპაში ხდება საზარელ აღმაშფოთებელ ველურობით ადამიანთა მოდგმის უღმობელი ხოცვა ჟლეტა, და ნადგურდება უნიკალურ ხუროთმოძღვრებით საუკუნოებით ნაშენი შედევრები.

რომელსაც დღევანდელი ჩვენი მართველები ომს კი არ უწოდებენ, არამედ უბრალო ადგილობრივ კონფლიქტების სახელით ნათლავენ.

და განაგრძობენ დიდებულ სუფრის ირგვლივ სმა-ჭამას ფრიად შესარგის სადაც შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი უმიზნო ღაყობას ვინემ სერიოზულ მოლაპარაკებას მშვიდობიანობის დასამყარებლათ. გული ვიტირის და ცრემლი მოგდის, როდესაც უმზერ ტელეხედვაში ათასობთ დედათა, ბავშვთა, და მოხუცთა განაწამებ სახეებს, და ისმენ დაჭრილ დასახინრებულ ბავშვების ტირილს, მოთქმას და ვოდებას.

ამავე საუკუნემ შვა ორი საზარლათ ბარბაროსული რეჟიმი ბოლშევიზმი, და ფაშიზმი. ბოლშევიზმის მამა მრისხანე ლენინი სრულიად უმიზეზოთ ომის გამოუცხადებლათ თავს დაგვესხა დაარღვია და უარჰყო მის მიერ ხელ მოწერილი ხელშეკრულება ჩვენ ნორჩ რესპუბლიკასთან, გვძლია უთანასწორო ბრძოლებში, დაგვადო ქარ-

ველ მამულიშვილთა სისხლით შეღებილი ხუნდები და დაპყრობილ ერს დაგვიწყო რუსული კნუტით ანუ მათ-რახით მართვა გამგებლობა.

დაინგრ-ჩაინგრა სისხლით მოზეელილ ქვიშაზე თიხის ფეე-ბზედ მდგარი საბჭოთა იმპერია, ძალით დაპყრობილ ერ-ებმა კვლავ მოიბოვეს თავისუფლება, და მათ შორს აღ-სდგა ჩვენი სანუკვარი სამშობლოც დიად 26 მაისის ნია-დაგზედ, მაგრამ საქართველო იტანჯება საქართველოს სტკივა ყველაფერი, რადგან ის, განიცდის ძნელადობის ხანას ისე, როგორც სხვა ახლად განთავისუფლებული ერები.

ჩვენი სამშობლო რომ გამოვიდეს ამ ძნელადობის ხანიდან უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მშვიდობიანობის და-მყარება ჩვენში ჩვენივე საკუთარ ძა ლებით, რასაც შეე-ძლებო ბრძოლის ველზედ ერთობლივად გამოსვლით, ამი-სათვის თქვენ უნდა შეკრბეთ თქვენ მიერ არჩეულ პრეზი-დენტის ირგვლივ, და აღიძართოთ ვით მტკიცე ჯებირი რომელსაც შეასკდებიან მასზედ სამტროდ მიტანილი ყველა იერიშები რომლებიც იმავე დროს არიან მიმართულნი საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

მშვიდობიანობის აღდგენისთანავე ჩვენ უნდა შეუდგეთ მოლაპარაკებას ადერბეიჯანთან და სომხეთან სამივე ერე-ბის კონფედერაციის შესაქმნელათ, რომელიც დაწყებული იყო ჩვენი ერების დამოუკიდებლობის დროს, არ დაგცა-ლდა, მაგრამ ხელშეკრულების ამ ისტორიულ დოკუმენტს მაინც ხელი მოაწერეს უკვე ემიგრაციაში მყოფ სამივე მთარობის თავჯდომარეებმა. ეს უადრესათ საქარო დოკუ-მენტი აღდგენილ უნდა იქნეს ზოგიერთ შესწორებებით, რადგან ის გააძლიერებს ჩვენ პოზიციებს.

ამ დიად მიზნის მიღწევას შემდეგ ჩვენ ყველა ახლად განთავისუფლებული ერები უნდა წავდგეთ ჩვენ დიდ მე-



ზობელ რუსეთთან, რათა მასთან ერთათ შევექმნათ ახალი კომუნოტე მსგავსათ ევროპისა, ნებაყოფლობით უფლებათა თანაზიარობით, რის შემდეგაც ჩვენ ყველა ერთათ თანასწორ უფლებიანობით შევდივართ ევროპის კომუნოტეში, რაც უფრო მეტათ განამტკიცებს მშვიდობიანობას და ხელს შეუწყობს ნიფთიერ კეთილდღეობის განვითარებას, რომელიც მთავარი ფაქტორია სახელმწიფოთა თანხმობით ცხოვრების.

ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ, რომ ეს იქნება ადვილათ მისაღწევი, რადან რუსეთი ვერ ურიგდება და ვერ იტანს მის დაყოფა, დაქუცმაცებას, რომლის საუკეთესო მაგალითი მან მოგვცა უკანასკნელ არჩევნებში უკიდურეს მემარჯვენე ლიდერის ფირინოვსკის მხარდაჭერით და გამარჯვებით, რომელმაც საჯაროთ განაცხადა :

"ჩვენ ისეთი მდგომარეობა უნდა შეუქნათ პატარა ერებს, რომ მუხლ მოყრილნი თვითონ გვთხოვონ მობრძანდით მშვიდობიანობა დაგვიძყარეთ".

ამ მის განცხადებას სამწუხაროთ დღევადელი რუსეთი მალულათ პირნათლათ ასრულებს. ჩვენში. (აფხაზეთი, ოსეთი).

სახელმწიფოებმა არ იციან გულწრფელი მეგობრობა თანამშრომლობა, ისინი ყველგან, და ყოველთვის ინტერესით მოქმედობენ, ჩვენც ჩვენ გულში უნდა ჩავხედოთ გავითვალისწინოთ ჩვენი რეალური შესაძლებლობა, და გავყვეთ ამ გზას ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავათ.

ჩვენი პოლიტიკა მუდამ ჟამს უნდა ემყარებოდეს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფულ მდებარეობას.

ჩვენ ერთობლივათ ყველა ერებმა უნდა დავარწმუნოთ რუსეთი, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა სრულადაც არაა მიმართული რუსეთის წინააღმდეგ.

ჩვენ საჯაროთ ვაცხადებთ, რომ არც ერთი უცხო ძალა არ

იქნება დაშვებული ჩვენს ტერიტორიაზედ განწყობილი
რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ჩვენ მიერ
დანთხეული ზღვა სისხლი პირველ და მეორე ომების
დროს მის ტერიტორიის დასაცავათ.

რუსეთის მიერ პატივის ცემა ერების დამოუკიდებ-
ლობისადმი კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენ გულწრფელ
მეზობლურ დამოკიდებულება თანამშრომლობას და დაამ-
ყარებს მარადიულ მშვიდობიანობით ნივთიერ ქეთილდღე-
ობის გაფურჩქნას.

ლევან ფაღავა.

საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მოგზაურობა საფრანგეთში.



გულმა ჩემმა ცემას უმატა, როდესაც გავიგე აქაურ პრე-
სიდან, რომ ჩვენ მეორე სამშობლო საფრანგეთის
პრეზიდენტის მოწვევით პარიზს ესტუმრება ჩვენი
ხვთიური მუდამ საგონებელი სამშობლო საქართველოს
პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ძვირფასო თანამემამულენო !

შორეთიდან ჟურნალ "ჩვენი დროში" მეოხებით მსურს
მოკლეთ გადმოგცეთ საქართველოს პრეზიდენტის და
მის პატივცემულ მეუღლის მოგზაურობის აღწერა
საფრანგეთში. ჩემ სიხარულს კიდევ უფრო აცისკროვნებდა
ის გარემოება, რომ პრეზიდენტმა სურვილი გამოთქვა
ძულეებით სამშობლოს გამოღმა დარჩენილ თანამემა-
მულეებთან შეხვედრის და საუბრის ჩატარების.

დადგა დრო სანატრელი 20 იანვარი, მოვესწარი, რაც
გვინდოდა, ამ დღეს გვაცნობებს საფრანგეთის საგარეო
საქმეთა მიერ გამოცემული საპროგრამო წიგნაკი, რომ
პარიზს ეწვია მისი აღმატებულება საქართველოს პრეზი-
დენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლეს თანხლებით.

საფრანგეთის პრეზიდენტის დაპატი იყებით. აეროდრომზე
ოფიციალურ მიღების შემდეგ პრეზიდენტი დააბინავეს
ოტელ კრიონში, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ უცხო
სახელმწიფოთა მეთაურებისათვის სადაც აღმართული იყო
ქართული დროშა. საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო.
პროტოკოლის თანახმად საფრანგეთის ყველა ცნობილი
პასუხისმგებელი პოლიტიკური პირები და საქმოსნები.
სადილათ ის პრ. ფ. შიტერანმა ელიზის სასახლეში



მაილი ნასადილეკს მურატის საზეიმო დარბაზში
 ორივეპრეზიდენტმა ხელი მოაწერეს პარიზის ქარტიას,
 რომელიცაა მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთ
 დანხარების ხელშეკრულება.

სადაშის, როგორც ესაა აღნიშნული საპროგრამო
 წიგნაკში პრეზიდენტის მოწვევით მოხდა დიპლომატიურ
 სასახლის დარბაზში, შეხვედრა ქართველ ლტოლვილე-
 ბთან.

დარბაზი იტევს 400 კაცს, სრულ ნ საათზე შემობრძანდა
 საქართველოს პრეზიდენტი თავის მინისტრებით და მცვე-
 ებით, დამსწრენი მხურვალე ტაშით და ფეხზედ ადგომით
 შეხვედენ პრეზიდენტს.

საპატალი ტრიბუნადან პრეზიდენტი ღიმილით მოგვესა-
 ლმა, თავის თავანთანობით და უადრესად შინაარსიან
 მოხსენებით საქართველოს პრეზიდენტმა მოხიბლა
 მაყურებელნი, რომელიც მხურვალე ტაშით იქნა და-
 ჯილდოებოდა.

მოხსენების შემდეგ შეკითხვები მისცეს პრეზიდენტს
 ფრანგულ ენაზე ქართული კოლონიის თავგჯდომარემ ქ-
 ლია გოგიტიასის ასულმა და ამავე კოლონიის ყოფილ
 თავგჯდომარემ ბ-ნ თამაზ ნასყიდაშვილმა, რომელთა
 უმართებულო კრიტიკული შეკითხვები საგსებით გა-
 აბათილა პრეზიდენტმა.

მაგლობა ღმერს ქარულათ ქ-ნ ეთერ ფაღავას ასულმა
 და ექიმ კაკი რამიშვილმა, ნარმოთქვეს უადრესათ შინაა-
 რსიანი სიტყვები მქუხარე ტაშითი დაფარული.

საბოლოო სიტყვა წარმოსქვა ჟურნალ "ჩვენი დროშის"
 რედაქტორმა ბ-ნ ლევან ფაღავამ, რომელმაც თავის
 ომანთან ხმით დიდი ორატორულ ნიჭით წარმოთქმულ
 ფრიად შინაარსიან სიტყვით დაატყვევა მსმენელები, რო-
 მლებმაც ხანგრძლივ ერთობლივ აღტაცებულ ტაშით და-
 აჯილდოვა ის, და აქ მოხდა საკვირველი ამბავი, პრეზი-

დენტი ჩამობრძანდა ტრიბუნიდან მაგრათ ხელი ჩამოართვა ორატორს გულში ჩაიკრა და გადაკოცნა.

ამის მნახველ აუდიტორიამ ფეხზე ადგომით, ალტაცებითი გაუთავებელი ოვაციები გაუშარა პრეზიდენტს, და ნიშნათ მადლობისა თვით, ლ. ფაღავასაც. პრეზიდენტს თარჯიმნობდა ემიგრაციაში ცნობილი ბ-ნი ზ. კაჭკაჭიშვილი. პრეზიდენტმა თურმე მწუხარება გამოთვა, რომ მას თარჯიმანით უხდება ლაპარაკი მის თანამემამულეებთან, რასაც ჩვენც საფსებით ვიზიარებთ.

მეორე დღეს პრეზიდენტი იგივე პატივისცემით გაფრინდა თბილისს.

თანახმათ დაპირებისა ბ-ნი ლ.ფაღავა ელის პრეზიდენტის მოგზაურობის ფილმს, რათა ერთხელ კიდევ ვიხილოთ ჩვენთვის ეს საოცნებო დაუვიწყარი დღე.

დამსწრე.

ლზ

მხურვალე ბოლშევიკურ გერაგულ კრიტიკის გამეორება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის 1918-21 წლის დიად ხანაზე, კინო რეჟისორ ოთარ იოსელიანის მიერ.



მოუთმენლად დიდი ინტერესით გველოდით 27 თებერვალს, რადგან ტელევიზიის პროგრამიდან შევიტყვევებთ, რომ ამ დღეს კინო რეჟისორი ოთარ იოსელიანი გააცნობს ტელე-ხედვის მაყურებლებს მებუთე არხზე საქართველოს უძველეს ისტორიას დღემდე, რომლის შემდეგ გვიჩვენებს მის ფილმს "იყო შაშიე მეგლობელი".

საქართველოს ძველი ისტორია მან გადმოქცა თვალსაჩინო სიზუსტით, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის დიადი ხანის ისტორიის თხრობაში ის აღმოჩნდა უერთგულესი მოწაფე და ამსრულებელი დამოუკიდებელ საქართველოს ჯალათთა მიერ გაყალბებულ შეთხზულ ისტორიის, და უსირცხვილოთ დაუსაბუთებლათ გაჰკივის მილიონობით უცხოელ მაყურებელთა წინაშე, რომ იმ დროინდელ საქართველოში მეფობდა: უზნეობა, მოსყიდვა, მექრთამეობა, და ყაჩაღობა.

